№11

ნოემბერი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით, ბოლნისი ქვემო ქართლის ლიდერი მუნიციპალიტეტია



2023 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შედეგების მიხედვით, ბოლნისი 43%-ით, ქვემო ქართლის ლიდერი მუნიციპალიტეტი გახდა, 64 მუნიციპალიტეტს შორის კი მე-15 ადგილს იკავებს. აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ბოლნისის შედეგი – 13% იყო და რეიტინგში 55-ე ადგილს იკავებდა. 2023 წლის შედეგით ბოლნისი უსწრებს თბილისს, ქუთაისს, გორს, რუსთავსა და მცხეთას.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელების, შეტყობინებებზე პასუხისა და უკუკავშირის ხარისხის მიხედვით, აქ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას 100% აქვს.

ინდექსი წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტების შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც განსაზღვრული კრიტერიუმებით აფასებს მუნიციპალიტეტში ღიაობისა და გამჭვირვალობის, საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების, ელექტრონული მმართველობის, მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2023 წლის შედეგებს დეტალურად შეგიძლიათ გაეცნოთ აქ: http://www.lsgindex.org/

https://tvitmmartveloba.ge/lsgindex/

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ორი სკოლის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება

გვ3:2

პროექტი ,,ბოლნისის თეატრი სკოლებისთვის'' წარმატებით შედგა

გვ3:3

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ორი სკოლის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის მასშტაბური პროექტის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, N3 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, შენობას გამაგრებითი სამუშაოები უტარდება, რემონტდება შენობის სახურავი და ფასადი, იცვლება წყალსაწრეტი მილები. რეაბილიტირდება საკლასო ოთახები, სველი წერტილები, დერეფნები, კიბის უჯრედები, ადმინისტრაციული ნაწილი, ფოიე, სააქტო და სპორტული დარბაზები. პროექტის ფარგლებში, სკოლაში ეწყობა კომპიუტერული ქსელი, სახანძრო სიგნალიზაციის, წყალარინებისა და ელექტრო გაყვანილობის ახალი სისტემა. გათბობის ახალი სისტემისთვის კი შენდება საქვაბე, იცვლება კარ-ფანჯარა, განათება და იატაკი.

ანხორციელებული სამუშაოების შედეგად, სკოლაში სასწავლო სივრცეების პარალელურად იფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი და ექიმის კაბინეტი. სკოლა ადაპტირებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის, მოეწყობა ლიფტი, პანდუსები და ადაპტირებული სველი წერტილები. ასევე სრული რეაბილიტაცია უტარდება სოფელ ქაპალაში, N3 საჯარო სკოლას. სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული. პროექტის დასრულების შემდეგ, სკოლის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები თანამედროვე სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებით შეძლებენ სარგებლობას. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სკოლაში სასწავლო სივრცეების

სოფელ ტანძიაში ინფრასტრუქტურული სამუშაოები ხორციელდება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ისტორიულ სოფელ ტანძიაში, ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, სადაც 510 გრძივ მეტრზე, რკინა-ბეტონის გზის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოებს ადგილზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, მოადგილე ლონგინოზ გასანოვთან და მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, კონსტანტინე კორძაძესთან ერთად გაეცნო.

სოფელ ტანძიაში, აღნიშნული გზის მონაკვეთზე, რელიეფიდან გამომდინარე, კეთდება სანიაღვრე არხიც. სამუშაოებს კომპანია შპს „ქცია“ აწარმოებს და პროექტის განსახორციელებლად დასაქმებული ჰყავს ადგილობრივი მოსახლეობა.

როგორც სოფლის მკვიდრი ელგუჯა მაღრაძე აცხადებს, რომ არა სოფლის განვითარების პროგრამები, სოფელი ხალხისგან დაიცლებოდა. გზის მშენებლობა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მითუმეტეს ზამთრის პერიოდში, აღნიშნულ გზაზე გადაადგილება შეუძლებელი იყო.

სოფლის შიდა რკინა-ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოების

დასრულების ოპტიმალური დრო 25 დეკემბერია. ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტი ,,ბოლნისის თეატრი სკოლებისთვის'' წარმატებით შედგა

ბოლნისის კუტურის სახლში, სამაგიდო თოჯინური სპექტაკლის „საქართველოს“ სერიული ჩვენებები, პროექტის „ბოლნისის

თეატრი ბავშვებისთვის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლებისთვის 8-17 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ბოლნისის კულტურის სახლთან არსებული თოჯინების თეატრისა და ბოლნისის სახალხო თეატრის ერთობლივი ჩართულობით დადგმული სპექტაკლი „საქართველო“, რამდენიმე თვის წინ პრემიერით წარსდგა ბოლნისელი მაყურებლის წინაშე.

პროქტის „ბოლნისის თეატრი ბავშვებისთვის“ განხორციელების იდეა ჯერ კიდევ სპექტაკლის პრემიერაზე გაჩნდა, ვინაიდან სპექტაკლი პატრიოტულ მოტივებზეა და ამასთანავე არა მარტო მოზარდ მაყურებელზე გათვლილი, ის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და შემეცნებითი ხასიათისაა. სკოლებთან თანამშრომლობით ყველა ბავშვამდე მივა, რაც დროთა განმავლობაში ბავშვისა და თეატრის დამეგობრებას შეუწყობს ხელს.

საგანმანათლებლო, შემეცნებითი სპექტაკლის „საქართველოს“ სერიული ჩვენებების ინიციატივა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან შემუშავდა, რომელიც ითვალისწინებს, ბოლნისის თეატრში მსგავსი პროექტების განხორციელებას და პროცესში, კვარტალში ერთხელ, სკოლების ჩართულობას. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი იმაზე მეტმა მაყურებელმა იხილა და გაიაზრა, ვიდრე დაანონსებული იყო. სრული ანშლაგი, უწყვეტი ტაში და ზღვა ემოცია, ასეთი იყო პროექტის მიმდინარეობა კულტურის სახლის სცენაზე.

კობა ჟღენტი, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი:

ბოლნისის თეატრში რამდენიმე თვის წინ სპექტაკლს „საქართველო“ დავესწარი და აღფრთოვანებულმა დავტოვე დარბაზი, მაღალ პროფესიონალურად დადგმული თოჯინური სპექტაკლი, იშვიათი თქმა იყო ბოლნისის კვალობაზე, თუმცა თამარ ბობოხიძის თოჯინების თეატრის მიერ ბოლნისის მაგალითზე ჩამოყალიბებული კულტურის არსებობის კვალი იგრძნობოდა. ბოლნისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ლაშა ნოზაძის მოსვლამ, ახალი მიდგომები თვალში საცემი გახადა. ეს ის სპექტაკლია, რომელიც მუნიციპალიტეტის სკოლების ყველა მოზარდმა უნდა ნახოს. მე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი, დავით შერაზადიშვილი ერთად ვესწრებოდით სპექტაკლის პრემიერას, მაშინვე გავცვალეთ აზრები, მისგან მხარდაჭერა და პირადი ჩართულობის სურვილი დიდი იყო. სწორედ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებით დავიწყეთ პროექტის „ბოლნისის თეატრი სკოლებისთვის - შევაყვაროთ ბავშვებს თეატრი“ განხორციელება, რომელმაც შედეგი გამოიღო და დიდი წარმატებით ჩაიარა. მუნიციპალიტეტის სოფლების, დაბებისა და ქალაქის საჯარო და კერძო სკოლების 2 500 - მდე მოსწავლემ იხილა სპექტაკლი ორი კვირის განმავლობაში, გადაჭედილი მაყურებელთა დარბაზი და აღფრთოვანებული მაყურებელი. ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ აღნიშნული პროექტი არ იყო ერთჯერადი და სკოლებსა და თეატრს შორის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, თეატრი, თავის მხრივ, წლის განმავლობაში რეპერტუარში არაერთ საგანმანათლებლო სახის ახალ სპექტაკლს შეიტანს და სკოლები კი, კვარტალში ერთხელ, ბავშვებს ორგანიზებულად მიიყვანენ თეატრში და დაესწრებიან სპექტაკლებს.

წარმატებულმა მოსწავლეებმა პორტაბელური კომპიუტერები მიიღეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები, რომელთაც საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულეს, პორტაბელური კომპიუტერებით დააჯილდოვეს.

40 წარმატებულ მოსწავლეს კომპიუტერები საზეიმო ვითარებაში, მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა გოგი მეშველიანმა და რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ია სვანიძემ გადასცეს.

პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება.

დიაბეტი და მისი ტიპები

შაქრიანი დიაბეტი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მრავალ ქვეყანაში შაქრიანმა დიაბეტმა ეპიდემიის ფორმა მიიღო და მას სიკვდილობის მიზეზებს შორის მეოთხე-მეხუთე ადგილი უჭირავს.

დიაბეტის საერთაშორისო ატლასის მონაცემებით, მსოფლიოში 536.6 მილიონზე მეტი ადამიანი დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით. დიაბეტით დაავადებულთა თითქმის ნახევარი 40-59 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენს.

ყოველ 10 წამში 2 პაციენტით იმატებს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობა, რაც შეესაბამება 7 მილიონს წელიწადში. დიაბეტით დაავადებულებს აქვთ 2-3-ჯერ მეტად გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და ინსულტის განვითარების რისკი, ტერფის ამპუტაციის 85% გამოწვეულია დიაბეტური ტერფის მიზეზით, დიაბეტური რეტინოპათია 2,6%-ში იწვევს სიბრმავეს. მაღალი შემოსავლის ქვეყნებშიც კი 18 წელზე მეტ მოსახლეობაში 37%-ს აქვს თირკმლის ქრონიკული უკმარისობა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოზრდილი მოსახლეობის ორიდან ერთ ადამიანში შაქრიანი დიაბეტი არადიაგნოსტირებულია, უამრავი ადამიანი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცხოვრობს ისე, რომ არ იცის ამ მდგომარეობის შესახებ. დიაგნოზის დადგენის მომენტში დიაბეტის გართულებები უკვე შეიძლება არსებობდეს.

დიაბეტის მსოფლიო დღე აღინიშნება ყოველწლიურად 14 ნოემბერს. დიაბეტის მსოფლიო დღე მნიშვნელოვანი შეხსენებაა მთელი პლანეტის პროგრესული კაცობრიობისათვის, რომ ამ დაავადების გავრცელების ზრდამ უკვე სტაბილური ხასიათი მიიღო და სხვა არაგადამდებ დაავადებებთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობებისა და სიკვდილობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს.

რა არის შაქრიანი დიაბეტი?

დიაბეტი –ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ვითარდება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანის კუჭქვეშა ჯირკვალს (პანკრეასი) აღარ შეუძლია ორგანიზმისათვის საჭირო ინსულინის გამომუშავება ან ვერ ახერხებს მის მიერ გამომუშავებული ინსულინის ეფექტურ მოხმარებას, რის შედაგადაც ხდება სისხლში გლუკოზის დონის მატება. (ჰიპერგლიკემია). არსებობს დიაბეტის ორი ტიპი: ტიპი 1 და ტიპი 2. ასევე გვხვდება გესტაციური დიაბეტი.

დიაბეტი ტიპი 1 _ რომელიც ადრე ცნობილი იყო, როგორც ინსულინდამოკიდებული ან ბავშვთა დიაბეტი – ხასიათდება ორგანიზმში გამომუშავებული ინსულინის რაოდენობის შემცირებით მის სრულ დეფიციტამდე. ის აუტოიმუნური დაავადებაა, რომლის დროსაც იმუნური სისტემა ებრძვის პანკრეასის ბეტა უჯრედებს. დიაბეტით დაავადებულთა დაახლოებით 10%-ს სწორედ ტიპი I შაქრიანი დიაბეტი აღენიშნება.

დიაბეტი ტიპი 2 – რომელიც ადრე ცნობილი იყო, როგორც ინსულინდამოუკიდებელი ან მოზრდილთა დიაბეტი – ვითარდება ორგანიზმის მიერ გამომუშავებული ინსულინის არაეფექტური მოხმარების შედეგად. იგი უმეტესად ჭარბი წონისა და დაბალი ფიზიკური აქტივობის შედეგია. დაავადების ეს ტიპი გვხვდება თითქმის 90-95%-ში.

გესტაციური დიაბეტი წარმოადგენს ჰიპერგლიკემიას (სისხლში გლუკოზის მაღალი დონე), რომელიც პირველად გამოვლინდება ორსულობის დროს.

შაქრიანი დიაბეტის ზოგადი სიმპტომებია:

- შიმშილის შეგრძნების გაძლერება;
- წყურვილის შეგრძნების გაძლიერება;
- წონაში კლება;
- ხშირი შარდვა;
- მხედველობის გაუარესება;
- საერთო სისუსტე და დაღლილობა;
- წყლულები, რომლებიც არ იკურნება.

ტიპი II შაქრიანი დიაბეტის სიმპტომების გამოვლენა დამოკიდებულია სისხლში გლიკემიის დონეზე, თუმცა ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაძლოა პრაქტიკულად უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს, ან მინიმალური გამოვლინებებით. ტიპი I დიაბეტის დროს კი სიმპტომები სწრაფად და უფრო მძიმედ ვლინდება.

მნიშვნელოვანია გამოვავლინოთ ის ძირითადი რისკ ფაქტორები, რომლებიც იწვევენ აღნიშნული დაავადების განვითარებას.

დაბეტი ტიპი 1-ის დროს ეს შეიძლება იყოს

- ოჯახური ანამნეზი
- გარემო ფაქტორები
- აუტოანტისხეულები
- გეოგრაფია

რაც შეეხება დიაბეტი ტიპ-2-ს მისი ძირითადი რისკ ფაქტორებია:

- წონა
- პასიური ცხოვრების წესი
- ოჯახური ანამნეზი
- ასაკი
- გესტაციური დიაბეტი
- პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომი
- ქოლესტერინის და ტრიგლიცერიდების მაღალი შემცველობა სისხლში

სისხლში შაქრის მაღალი დონე აზიანებს ორგანოებსა და ქსოვილებს მთელს სხეულში. რაც უფრო მაღალია სისხლში შაქრის დონე და რაც უფრო დიდხანს ნარჩუნდება ის, მით მეტია გართულებების რისკი. შაქრიანი დიაბეტის გართულებებია: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნეიროპათია, ნეფროპათია, რეტინოპათია, სმენის დაკარგვა, პერიფერიული ქსოვილების დისცირკულატორული დარღვევები და მასთან ასოცირებული ტროფიკული წყლულები, კანის დისცირკულატორული და ტროფიკული პროცესები, დეპრესია, დემენცია.

ადრეული გამოვლენისთვის აუცილებელია სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენება, როგორიცაა:

- სისხლში შაქრის დონის განსაზღვრა
- სისხლში შაქრის დონის განსაზღვრა უზმოზე
- გლიკოზირებული ჰემოგლობინის (HbA1C) განსაზღვრა
- აუტოანტისხეულები პანკრეასის ინსულინის წარმომქმნელი უჯრედების მიმართ: ტესტი, რომელიც განასხვავებს ტიპ 1 დიაბეტს ტიპი 2 დიაბეტისგან
- კეტონები შარდში

მნიშვნელოვანია პრევენციული ღონისძიებების გატარება ადრეული ასაკიდანვე, ქვემოთ ჩამოთვლილია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლის შესრულებაც თავიდან აგვარიდებს დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებას.

- ფიზიკური ატქივობის მატება -იარეთ ფეხით ან ველოსიპედით კვირაში მინიმუმ 150 წუთი
- იკვებეთ ჯანსაღად - გამორიცხეთ რაციონიდან გაჯერებული და ტრანს ცხიმები, რაფინირებულ ნახშირწყლებთან ერთად
- მიირთვით მეტი ხილი, ბოსტნეული და მთელი მარცვლეული
- მიირთვით მცირე ულუფები
- შეეცადეთ დაიკლოთ თქვენი სხეულის წონის 7%, თუ ჭარბწონიანი ან მსუქანი ხართ
- დიაბეტის სკრინინგი
- საგანმანათლებლო ტრეინინგების ჩატარება რისკის ჯგუფებთან

ტიპი 1 დიაბეტის პრევენცია შეუძლებელია.

მიმდინარე წელს ქალაქ ბოლნისს 1300 ნერგი შეემატა

ქალაქ ბოლნისში, ცენტრალური გზის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქის შემოსასვლელიდან გარკვეულ მონაკვეთამდე, გამწვანების აქცია მოეწყო, რომელშიც ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, პირველ მოადგილესთან, ბუბა გობეჯიშვილთან და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან პაპუნა მუშკუდიანთან ერთად ჩაერთო.

საშემოდგომო დარგვის პროცესი 2 დღე გაგრძელდა და სულ 300, 8 სხვადასხვა ჯიშის ნერგი ქალაქის რამდენიმე ლოკაციაზე გადანაწილდა, დარგვის პროცესი, პირველ დღეს აღმაშენებლის ქუჩაზე განხორციელდა, შემდეგ კი იმ 6 ქუჩაზე, სადაც დასრულდა ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ბოლნისში მასშტაბური გამწვანების 2 აქცია ჩატარდა, აქედან პირველ ეტაპზე 1000 ნერგი დაირგო, ხოლო მეორე ეტაპზე 300. ამით, მიმდინარე წელს, ქალაქის გამწვანების აქცია სრულდება, რომელიც მომავალ წლის გაზაფხულიდან განახლდება.

ოცნებების დამზადება ეპოქსიდით

ჩვენს სამყაროში, სადაც კრეატიულობას საზღვარი არ აქვს, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ირჩევენ არატრადიციულ მასალებს თავიანთი ხედვების გასაცოცხლებლად. გაიცანით თეო დავითაშვილი, ახალგაზრდა და ნიჭიერი ხელოვანი, ვისთვისაც ხელები უდიდესი ,,იარაღია". ის, რაც მის ნამუშევრებს გამოარჩევს, არის უნიკალური საშუალება- ეპოქსიდი.

ეპოქსიდი, მრავალმხრივი და ხშირად დაუფასებელი მასალა, თეოს უსაზღვრო ფანტაზიის ტილო გახდა. ეპოქსიდის სამყაროს, ახალგაზრდა გოგონას თვალით გაგაცნობთ, რაც მისთვის არა მხოლოდ გატაცება აღმოჩნდა, არამედ შემოქმედებით წამოწყებადაც აქცია. თეოს დიდი ოცნება ნელ-ნელა მიდის დასახულ წერტილამდე უნდა, რომ ჰქონდეს დიდი სახელოსნო, ყველა საჭირო ნივთით აღჭურვილი და მთელი მისი დრო, ენერგია, შემოქმედებითობა, ამ საქმიანობას დაუთმოს.

-შეგიძლიათ გვიამბოთ თქვენს შესახებ, როგორ დაიწყო პირველი ნაბიჯები ეპოქსიდის ხელოვნებაში?

- მოგესალმებით. პირველ რიგში დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩემი საქმიანობის მიმართ გამოჩენილი ინტერესისთვის. რაც შეეხება ეპოქსიდს და მის შეუზღუდავ შესაძლებლობებს, არც მახსოვს, როდის წავაწყდი სოციალურ ქსელში, თუმცა ზუსტად ვიცი, რომ მას მერე შეპყრობილი ვიყავი იდეით, მეც მეცადა მისგან ხელნაკეთი ნივთების დამზადება. რამდენიმე ვიდეო რგოლი და გვერდიც კი ჩავინიშნე. სხვადასხვა სოციალურ პლატფორმაზე ვეძებდი და ვაგროვებდი ინფორმაციას, სწორად დამზადების ტექნიკაზე, როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, მაშინვე შევიძინე მასალები და საცდელად დავამზადე პატარა საყურე, რომელიც დედას ვუსახსოვრე.

- აღგვიწერეთ შემოქმედებითი პროცესი, როგორ ,,იბადება" იდეები და რა ეტაპებს გადის, სანამ ხელოვნების ნიმუშად იქცევა?

- ერთი შეხედვით, ეპოქსიდისგან ნივთის დამზადებას თითქოს არაფერი უნდა, ძალიან მარტივი ჩანს. აიღებ ეპოქსიდს, გააზავებ, შეურევ სასურველ ფერს და ჩაასხამ ყალიბში, მორჩა! თუმცა, აქ დიდი თუმცაა! მეც ასე მეგონა, რომ ვუყურებდი სასწავლო ვიდეოებს, ეს რა ადვილი საქმეა-მეთქი, მაგრამ მუშაობის პროცესში, იმდენი დეტალის გათვლა გიწევს, ერთ პატარა ბრელოკს 2-3 დღე სჭირდება, რომ გამოშრეს, შემდეგ აწყობა, გაპრიალება (დატოპვა), ხელახლა გაშრობა, შეფუთვა და ადრესატისთვის მიწოდება. როცა ნივთის დამზადებას ვიწყებ, აუცილებლად ვითვალისწინებ მომხმარებლის სურვილებს. ხშირად წარმომიდგენია ის ადამიანი ამ ნივთთან, როგორ მოუხდებიან ერთმანეთს, თითქოს ვცდილობ, ერთგვარი კავშირი დავამყარო მომავალ პატრონსა და ნივთს შორის. მერე მოდის იდეებიც. ფერები თავისით ჯდება გონებაში, და წინასწარ წარმომიდგება ხოლმე, ჯერ არ დამზადებული ნივთი. წარმოსახვაზე დაყრდნობით კი, ნელ-ნელა " ვძერწავ" ეპოქსიდისგან.

- რა მასალებსა და ტექნიკას იყენებთ ნამუშევრების შესაქმნელად?

- ეპოქსიდს ორი კომპონენტი აქვს, რომლის ერთმანეთში შეზავებითაც მყარდება ნივთი. ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ მასში სამუდამოდ შეგიძლია შენი მოგონებები შეინახო და უკვდავყო. რამდენია, ვისაც წიგნში სათუთად შენახული აქვს ძვირფასი ყვავილები, მე შემიძლია ამ ყვავილებისგან გასაოცარი და ლამაზი ნივთი დავუმზადო, რომელსაც თვალსაჩინო ადგილას დადებს. ასევე შესაძლებელია მასში აკრილით მოხატვა, რომელიც ერთხელ ვცადე, ფერებს სპეციალური თხევადი თუ ფხვნილის საღებავებით ვაძლევ. ეპოქსიდს აქვს შეუზღუდავი შესაძლებლობები, გამოხატო შენი თავი. ამ ეტაპზე პატარა ნივთების დამზადებით უფრო ვარ დაკავებული. ეს ყველაფერი ძალიან დიდ შემოქმედებით და ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს, მით უმეტეს, თუ ახალი დაწყებული გაქვს საქმიანობა. ჯერ ასე ვთქვათ, ხელი არ გაქვს გაწაფული, "შენი ხაზის" მოძებნას დრო უნდა. მე ჯერ ძიების პროცესში ვარ, დამწყები ამ საქმიანობაში და ვცდილობ ჩემს ნაკეთობებში მე ვიკითხებოდე, ჩანდეს ჩემი გემოვნება, მაგრამ ეპოქსიდისგან დამზადებული აქსესუარები თუ ნივთები, იმითაა განსაკუთრებული, რომ მე შენი გემოვნებითა და შენი სურვილების გათვალისწინებით შემიძლია აგიწყო საჩუქარი. თუმცა ჩემთვის, როგორც ხელოვანისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ნამუშევრებს ეტყობოდეს, რომ ჩემია. ხელოვნება ხომ სწორედ მაგის საშუალებას გაძლევს, საკუთარი თავი გამოავლინო და ხალხსაც სწორედ ეს, შენი ინტიმური ნამუშევარი მოსწონს, აფასებს, გიჩნდება მომხმარებელი, რომელსაც სწორედ შენი პროდუქტი მოსწონს. აქეთ მინდა წავიდე. იმედია, გამომივა.

- ნამდვილად, შესანიშნავი ნამუშევრები გაქვთ! ვფიქრობ,

საზოგადოებაზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თითოეული მათგანი. როგორც ამბობთ, სამუშაო პროცესი სასიამოვნო, თუმცა არც ისე მარტივია. ხომ ვერ გაიხსენებთ თქვენი შექმნილი ნივთებიდან ერთ-ერთს, რომელზე მუშაობაც ყველაზე მეტად რთული აღმოჩნდა?

- დიდი მადლობა, იმედია გამომწერებიც იმავეს ფიქრობენ.

დიახ, ერთი განსაკუთრებით "მწარედ" მახსოვს.

ეპოქსიდზე ძირითადად ღამით ვმუშაობ. დღე დრო არ მაქვს, მცირეწლოვანი შვილი მყავს. ერთ ასეთ მშვენიერ საღამოს დავამზადე დიდი ლანგარი, საკმაოდ ბევრი ეპოქსიდი დავხარჯე, ულამაზესი იყო, თუმცა, როცა ფორმა უნდა მიმეცა და მომეღუნა, ამ დროს ჩემმა შვილმა გაიღვიძა და სანამ ძილი შევუბრუნე, მეც მის გვერდით მიმეძინა. დილით რომ გავიღვიძე, ნაკეთობა იმდენად გამაგრებული დამხვდა, რომ ფორმის მიცემა უკვე შეუძლებელი გახდა . მაინც ვცადე რაღაც "ხრიკები" მისი სასურველ ფორმაზე დასაბრუნებლად, მაგრამ დაგვიანებული აღმოჩნდა და შუაში გამიტყდა უდიდესი და ულამაზესი ლანგარი. აი, ასე. ყველაფერს წამებსა და წუთებში უნდა გათვლა, როდესაც ეპოქსიდს შეეჭიდებით.

- არის რაიმე კონკრეტული თემა, რომელიც ყველაზე ხშირად ჩნდება თქვენს ნამუშევრებში?

- ბაბუაწვერები! ძალიან მიყვარს ბაბუაწვერები. ამ ზაფხულს, სადაც შემხვდა, ყველგან მოვაგროვე, თუმცა უკვე გამითავდა და მომავალ ზაფხულს სულმოუთქმელად ველოდები.

- როგორ ახერხებთ, პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებას შეუთავსოთ, ამ ულამაზეს ნივთებზე მუშაობის პროცესი?

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, მცირეწლოვანი შვილი მყავს და ამ ეტაპზე არსად ვმუშაობ. ვარ ასე, თვითნასწავლი ეპოქსიდში. როდესაც საღამოს ბავშვის დამკავებლები მოდიან სამსახურიდან, მე დაწყებითი კლასების ბავშვებს ვამეცადინებ ქართულსა და მათემატიკაში. ბავშვთან ერთად ეს ყველაფერი და პლუს სახლის საქმიანობაც, მარტივია- მეთქი, ვერ გეტყვით, თუმცა ვფიქრობ, თუ მოინდომებ, შეუძლებელი არაფერია. მთავარია სიამოვნებას განიჭებდეს საქმე, რასაც აკეთებ. ბავშვები ჩემი სისუსტეა, იმდენად მიყვარს მათთან ურთიერთობა. ხელოვნება კი, ასე ვიტყოდი, ცხოვრებას მილამაზებს.

- გაქვთ საყვარელი ნამუშევარი და რა ხდის მას თქვენთვის განსაკუთრებულს?

- ყველა ნამუშევარი არის გულიდან წამოსული. ძნელია არჩევა. თუმცა ერთს გამოვყოფდი - ქარჩხაძის "იგის" ილუსტრაცია ჭიქის სადგამ კოსტერზე, ალბათ, შეუცვლელია ჩემთვის.

- უზიარებთ თუ არა საზოგადოებას, თქვენს ეპოქსიდურ ხელოვნებას, სოციალური პლატფორმის მეშვეობით?

- ამ ეტაპზე სოც.პლატფორმაზე მაქსიმუმ ფოტოების დადება მოვახერხე. ეს ყველაფერი ძალიან დიდ დროს მოითხოვს და ჯერ სწრაფად ლავირება სოც.პლატფორმაზე, ჩემი დღის რეჟიმიდან გამომდინარე, მიჭირს. თუმცა, მაგ საკითხსაც აუცილებლად გავაუმჯობესებ.

- უთხარით მკითხველს, სურვილის შემთხვევაში, როგორ უნდა შეგიკვეთონ მათთვის სასურველი პროდუქტი?

- ამ ეტაპზე მხოლოდ ფეისბუქ გვერდი მაქვს, რომელსაც - ემოცია/ emotion ჰქვია. სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ მომწეროთ ამ გვერდის პირად შეტყობინებაში.

- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

- ჩემი გეგმა ერთი დიდი ოცნებაა, რომელსაც ნელ-ნელა ვახორციელებ. მინდა მქონდეს სახელოსნო, ყველა საჭირო ნივთით აღჭურვილი და მთლიანი ჩემი დრო, ენერგია, შემოქმედებითობა ამ საქმიანობას დავუთმო.

- რა რჩევას მისცემდით მათ, ვინც დაინტერესებულია ეპოქსიდის ხელოვნებით და სურს შეისწავლოს მათი შექმნა?

- ყველას, ვინც დაინტერესებულია ეპოქსიდის ხელოვნებით, მინდა ვუთხრა- რას ელოდები?! დღესვე დაიწყე! დღესვე სცადე! ეპოქსიდი აუცილებლად გაჩვენებს, ხარ თუ არა მისი შემოქმედი!

,,მცდელობიდან პროფესიონალ მსახიობობამდე განვლილი გზა“

სცენის განათების მკრთალ მნათობში, სადაც ოცნებები დგას, არის თავდადების სამყარო - სამყარო, რომელსაც თეატრის ვეტერანი მსახიობი ლადო კენქოშვილი სახლს უწოდებს, 1980-იანი წლების დასაწყისიდან. მისი ისტორია არ არის მხოლოდ თეატრალური წარმატების ერთ-ერთი ამბავი, არამედ უწყვეტი ერთგულებისა და უსაზღვრო შესაძლებლობების დადასტურებაა. ბატონი ლადო გაგვიძღვება მისი მოგზაურობის კულისებში - სამოყვარულო თეატრის დასაწყისიდან, სადაც აპლოდისმენტები და ხალხის სიყვარული იყო ერთადერთი ანაზღაურება.

ეს არ იყო წინასწარ გათვლილი კარიერის არჩევანი. ეს იყო შემთხვევითი შეხვედრა სცენასთან. განსაკუთრებული მომზადებისა და თეატრალური განათლების გარეშე, იგი ხელოვნების ნაწილი გახდა. მან არც კი იცოდა, რომ ეს შეთავაზება მას თეატრალური სამყაროს გულში გადაიყვანდა, სადაც ნიჭის, შეუპოვრობისა და თავდადების წყალობით, საკუთარ კვალს დატოვებდა.

დღევანდელ ინტერვიუში გავეცნობით, სამოყვარულო თეატრის გამოწვევებს, ოცნებისკენ სწრაფვას და გამოუცდელი ენთუზიასტის გამოცდილ შემსრულებლამდე მიმავალ გზას. ამ გულწრფელ საუბარში ბატონი ლადო მოგვითხრობს თეატრის მაგიაზე, რომელიც აძლიერებს მას ოთხი ათწლეულის მანძილზე.

- როგორ დაიწყო თეატრთან თქვენი ურთიერთობა?

- 1980 წელს, სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ, კავშირგაბმულობაში (ფოსტაში) ვმუშაობდი. ნუგზარ ჭითანავამ და ოლეგი აბრამიშვილმა შემომთავაზეს, მეცადა თეატრში ბედი. ხმის ტემბრი მოეწონათ, რამდენადაც მახსოვს. ვცადოთ - მეთქი, რატომაც არა. ვახტანგ მიხელიძე დამხვდა ხელმძღვანელი, მოყვარულთა სახალხო თეატრი ერქვა მაშინ. წავიკითხე როლი და ძალიან მოვეწონე მთელ კოლექტივს, მითხრეს: დღეიდან შენ ხარ ჩვენი დასის წევრიო.

- სკოლაში თუ გქონდათ ამ კუთხით გამოცდილება, ან რაიმე პრაქტიკა.?

- არა, არანაირი გამოცდილება არ მქონია.

- რა იყო პირველი როლი, რომელიც შეასრულეთ?

- ,,ლუკმა და ცრემლი“, მაგრამ არ დაიდგა, კარგად მახსოვს. კომედიური ჟანრის იყო, თუმცა ალეგორიული ხასიათის გამო მოიხსნა რეპერტუარიდან. შემდეგ ,,ნისლიან დღეებში“ ვითამაშე მთავარი როლი, ჯამლეტი, იქიდან დაიწყო და დაიწყო მთავარი როლები.

- როგორი პერსონაჟი იყო ჯამლეტი და რამდენად ითავისებდით ამ როლს?

- კომუნისტურ პარტიას მორგებული, მლიქვნელი პერსონაჟი იყო, თუმცა ისე წარმოვაჩინე, ხალხს ძალიან მოეწონა, ყოველთვის ტაში მესმოდა მაყურებლისგან, როდესაც ჩემი პერსონაჟი შედიოდა და გამოდიოდა სცენაზე. ვფიქრობ, კარგად მოვერგე როლს.

- ცხოვრებას თუ ჰგავს თეატრი?

- კი, საკმარისი მსახიობები გვყავს ცხოვრებაში. პერსონაჟები, რომლებსაც ვთამაშობთ, ცხოვრებიდანაა აღებული, არ არიან გამოგონილები. ამიტომ, ცხოვრება და თეატრი ერთმანეთთანაა შერწყმული.

- გვსმენია, რომ სცენის მტვერის შესუნთქვის შემდეგ, რთულია თავი დააღწიო მას.

- ძალიან შრომატევადია, სანამ მაყურებლის წინაშე გამოხვალ, თვეობით ემზადები, ღამეების თენებაც გიწევს. არ არის ადვილი ეს ყველაფერი, თითოეული მსახიობის მიერ შექმნილი პერსონაჟი ოფლის ფასად მიდის მაყურებლამდე. სცენის მტვერის გემო ერთხელ თუ იგრძენი, მიუხედავად ამდენი შრომისა, მთელი ცხოვრება მზად ხარ შეისუნთქო ოვაციებით და ტაშით გაჯერებული, ეს ჯადოსნური მტვერი,

- რა არის მსახიობისთვის მთავარი?

- მთავარია, მართალი იყო. პირველ რიგში საკუთარ თავთან და შემდეგ მაყურებელთან. შენი ხასიათიდან უნდა ამოდიოდეს ეს ყველაფერი.

- ხომ არ გიჭირდათ სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლში თამაში?

- კი, ნამდვილად არ არის ადვილი, უნდა გარდაისახო, მაგრამ როდესაც საკუთარ თავზე

პასუხისმგებლობას იღებ, სცენაზე ფეხს შედგამ, შემდეგ უკვე უნდა შეძლო ყველაფერი.

- რამდენი წელი გაატარეთ სცენაზე და რამდენ სპექტაკლში ითამაშეთ?

- 1980-დან 2015 წლამდე. ყოველ წელს ორ-ორ სპექტაკლში მაინც ვთამაშობდი. ბოლო სპექტაკლი იყო ნოდარ დუმბაძის ,,ბოშები“, შემდეგ კი ძალიან ძლიერ და ნიჭიერ ახალგაზრდებს დავუთმე ასპარეზი.

- ასეთი დატვირთული გრაფიკი, შრომატევადი საქმე, ალბათ ძალიან გიყვარდათ, თორემ ენთუზიაზმზე მუშაობა წარმოუდგენელია.

- თავისთავად, თუ სიყვარული და მონდომება არ იქნებოდა, ეს ყველაფერი არ გამოვიდოდა. სამსახურებიდან რეპეტიციაზე მივდიოდით, ყველა ვმუშაობდით სხვადასხვა ადგილას, ამიტომ რეპეტიციები საღამოობით იყო. ღამის 2-3 საათამდე იქ გვიწევდა ყოფნა, ეს ყველაფერი კი, სიყვარულის გარეშე, შეუძლებელია.

- რესურსი, დეკორაცია, გაფორმება?

- რაღაცეები სახლიდან მიგვქონდა, რაღაცებს მეზობლებს ვართმევდით. მთელ რაიონს უნდოდა თეატრი არ გაჩერებულიყო და ემუშავა, ასეც გამოვიდა.

- როგორი ურთიერთობა იყო მაშინდელ დასს შორის?

- სამწუხაროდ, ყველა მოსაგონარი დამრჩა, იმ ადამიანებს ვგულისხმობ, ვისთან ერთადაც ავიდგი ფეხი სცენაზე. საოცარი სიყვარული და ურთიერთობა გვქონდა. ერთი ოჯახი ვიყავით ყველანი , და-ძმები.

- ყველა მოყვარული მსახიობი იყავით?

- კი, კი, მაშინ ასე იყო. ახლა უკვე ბევრი მსახიობია, რომელსაც შესაფერისი განათლება აქვს მიღებული, მაშინ ეს თეატრი მოყვარულებზე იდგა. ჩვენი თაობის თეატრი კი დაბერდა, მაგრამ ისეთი ახალი თაობა მოდის, რომ აღფრთოვანებული ვარ, მიხარია მათი ყურება, კიდევ აღვნიშნავ, ძალიან ნიჭიერები არიან.

- ძველი თაობის დამსახურებაა, რომ დღესდღეობით ასეთი აქტუალურია ჩვენს მუნიციპალიტეტში თეატრი.

- კი, მაშინ ნაკლებად ექცეოდა ყურადღება მოყვარულთა თეატრებს, სახელმწიფო-აკადემიური თეატრები იყო მომძლავრებული. ცენზურა იყო, მეთოდ-ცენტრი ამოწმებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გვაძლევდნენ მაყურებლის წინაშე ნაწვალებ-ნალოლიავები, ღამენათევი სპექტაკლით წარდგომის ნებას.

- რომელი სპექტაკლი და როლი გიყვართ ყველაზე გამორჩეულად?

- გამოვარჩევ ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს, ,,ათვინიერებენ მიმინოს“. გურჯაანის ფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სიგელიც მივიღე, ასევე სპექტაკლი - ,,სახსოვარი“ , 1985 წელს დავდგით, რომლითაც რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი გავხდით. ჩემთვის ყველა როლი, მართლაც, რომ მნიშვნელოვანი იყო.

- ნელ-ნელა განვითარდა თეატრი, უკვე მუნიციპალური გახდა, დაინტერესება დიდია.

- კი, ასეა, მაგრამ იცით რა არის კარგი? ხელფასის გამო ჩვენთან არ მოდის მსახიობი, ჩემი მასწავლებელი, მიშა გაბიძაშვილი, ამბობდა ასე - ,,ბიჭო, ფულზე არ დამიწყოთ ლაპარაკი, ფული კი არა , აგერ არის სცენა და აგერ ხარ შენ“. დღესდღეობითაც ასე არიან ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები, რაც ძალიან მიხარია. ასევე კარგი ისაა, რომ სპექტაკლებიც ძალიან კარგი იდგმება. „ჰამლეტს“ რომ შეეჭიდები, შექსპირის ამხელა სპექტაკლს დადგამ. მახსოვს, ლაშა ნოზაძემ დადგა ,,მზიანი ღამე“, გრიგოლ რობაქიძის პიესის მიხედვით, მაყურებელი ტიროდა, ჩვენი გაშვება არ უნდოდა სცენიდან, ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა.

- არ გიჭირდათ რეჟისორებთან შეგუება?

- არა, სხვათაშორის. კი არ გვიჭირდა, პირიქით, ისინი გვეხმარებოდნენ და გვზრდიდნენ ჩვენ. პროფესიონალებად ჩამოგვაყალიბეს.

- როდის შეიძლება ითქვას, რომ შედგა სპექტაკლი, მაყურებელი თუ ტაშს დაუკრავს?

- გააჩნია, როგორ უკრავს ტაშს, ზრდილობის გამო თუ აღფრთოვანებით.

- გარდა მსახიობობისა, ,,ბოლნისის სიონის“ დიქტორიც იყავით . როგორ აღმოჩნდით ამ პოზიციაზე?

- ხმის გამო მიმიწვიეს, მოვსინჯე და

გამოვიდა. მაყურებელს სხვანაირად განაწყობს დიქტორის ხმა .

- გარდა ენთუზიაზმისა, რა არის საქმეში მნიშვნელოვანი?

- შრომისუნარიანობა. თუ არ გაისარჯე, არ გაწვალდი, არ იშრომე, არაფერს აქვს აზრი.

- გიწევდათ სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში გასტროლი, როგორი იყო?

- კი, იყო ბევრი ქვეყანა, ქალაქი 80-იან წლებში. ენის ბარიერიც კი არ არსებობდა, მაყურებლამდე იმდენად ახლოს მიდიოდა ჩვენი შესრულება, მოქმედებაში კითხულობდა სათქმელს.

- კარგია, როცა გაფასებენ, დიდი მოტივაციაა, რას გვეტყვით თქვენს ჯილდოებზე?

- კი, როცა გაფასებენ ცხადია ეს დიდი ბედნიერებაა, თეატრის 80 წლის იუბილეზე გრიგოლ კოსტავას ჯილდო გადმომეცა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგი გრძნობაა. თუ გაფასებენ, ესე იგი, შენს შრომას ტყუილად არ ჩაუვლია.

- თეატრში თუ დადიოდით, როგორც მაყურებელი?

- კი, რა თქმა უნდა, დავდიოდი. ისეთი დასი იყო, რომ ყველა მიდიოდა სპექტაკლზე, არა მარტო გასართობად, არამედ იმისათვის, რომ იქედან რაიმე წამოეღო.

- როგორია ბოლნისელი მაყურებელი?

- ერთგული, ყოველთვის ერთი და იგივე სახე ჩანს, იცი უკვე ვინ დაგხვდება, როდესაც სცენაზე ადიხარ. რა თქმა უნდა, სხვა ქალაქის მაყურებელს პატივი უნდა სცე, მათთანაც ბოლომდე დაიხარჯო, მაგრამ შენი ქალაქის მაყურებელი არ უნდა გააწბილო, არ უნდა აფიქრებინო, რომ მეორედ აქ აღარ მოვალ, მეტი პასუხისმგებლობა გაქვს მის წინაშე.

- დღეს უკვე აღარ გიწევთ თამაში, არ გიჭირთ?

- ძალიან ძნელია სცენის მიღმა ყოფნა.

- რას უსურვებთ ბოლნისის თეატრს?

- მრავალჟამიერ ყოფილიყოს, არ ჩამქრალიყოს. აუცილებელია თეატრი ჩვენს მუნიციპალიტეტში. მივმართავ მადლობით ყველას, ვისი დამსახურებითაც ბოლნისის თეატრი ფუნქციონირებს.

Çapala kənd ümumi məktəbi əsaslı təmir olunur

Gürcüstanın Baş naziri İrakli Qaribaşvilinin təşəbbüsü ilə həyata keçirilən məktəblərin bərpası layihəsi çərçivəsində Gürcüstanın Təhsil və Elm Nazirliyinin maliyyəsi ilə Çapala kənd ümumi məktəbində genişmiqyaslı infrastruktur işləri aparılır. Layihə çərçivəsində 3 mərtəbəli binanın bünövrəsi bərkidilir, fasadı təmir edilir, su boruları dəyişdirilir. Sinif otaqları, hamam otaqları, dəhlizlər, pilləkən qəfəsləri, inzibati hissə, foye, bufet, akt və idman zalları bərpa

olunur. Kompüter şəbəkəsi, yeni yanğın siqnalizasiya sistemi, su və kanalizasiya şəbəkəsi, istilik və elektrik naqilləri təşkil edilir. Qapı pəncərələr, işıqlandırma və döşəmə dəyişdirilir.

Görülən işlər nəticəsində tədris otaqları ilə paralel olaraq elm və kompüter laboratoriyaları, kitabxana, resurs kabineti və həkim məntəqəsi də fəaliyyət göstərəcək. Məktəb xüsusi ehtiyacı olan insanlar üçün uyğunlaşdırılacaq. Yenidənqurma işlərinə məktəbin daxili həyətində lift, panduslar, uyğunlaşdırılmış vanna otağı, çoxməqsədli açıq idman meydançası daxildir. Çapala kənd məktəbinin "Təhsil və Elmi İnfrastrukturun İnkişafı Agentliyi"nin direktoru Levan Suxitaşvili, Kvemo Kartli üzrə dövlət nümayəndəsinin müavini İlia Calaqaniya və Bolnisi bələdiyyəsi merinin müavini Lonqınoz Həsənov abadlıq işləri ilə tanış olublar. Məktəbin bərpasına 4 milyon lariyə yaxın vəsait ayrılıb və işlərin 2024-cü ilədək başa çatdırılması planlaşdırılır.

Hökumətin qərarına əsasən, stomatoloji xidmət göstərənlər üçün yeni standartlar müəyyən edilir

. Hökumət administrasiyasının yaydığı məlumatda qeyd edildiyi kimi, dəyişikliklərin məqsədi pasiyentin təhlükəsizliyini qorumaq və müasir standartlara uyğun xidmət göstərməkdir. "Nazirlər Kabinetinin üzvləri [hökumət iclasında] stomatoloji xidmət göstərənlər üçün yeni standartların müəyyən ediləcəyi layihəni müzakirə ediblər. Səhiyyə Nazirliyinin təşəbbüsü ilə fəaliyyətə başlamaq və fəaliyyət göstərmək qaydaları sərtləşdirilir. Dəyişikliklərin məqsədi pasiyentin təhlükəsizliyini qorumaq və müasir standartlara uyğun xidmət göstərməkdir. Dəyişikliyə əsasən, infeksiyanın qarşısının alınması, mübarizə, sterilizasiya-dezinfeksiya və tibbi tullantıların idarə edilməsi üzrə zəruri meyarlar yenilənib, dəqiqləşdirilib və daha ətraflı yazılıb. Prosesi daha yaxşı idarə etmək üçün müəssisədə infeksiyaya nəzarət üçün məsul şəxsin təyin edilməsi məcburi oldu.Stomatoloji müəssisə altı ayda bir dəfə işçilərin hepatit B-yə qarşı profilaktik immunizasiyasını və hepatit C-yə qarşı skrininqini

təmin etməyə borcludur. Dəyişikliklərlə müəyyən edilən tələblər 2024-cü ilin yanvarından mövcud stomatoloji kabinetlər və klinikalar üçün məcburi olacaq. Yeni qurumlar yalnız bu standartlara əməl olunarsa, fəaliyyətə başlaya biləcəklər", - məlumatda deyilir.

Müvəffəqiyyətli tələbələrə portativ kompüterlər verilib

Gürcüstan Təhsil və Elm Nazirliyinin "Mənim ilk kompüterim" proqramı çərçivəsində Bolnisi Bələdiyyəsinin dövlət məktəblərinin baza səviyyəsini uğurla başa vuran şagirdləri bu gün portativ kompüterlərlə mükafatlandırılıblar. Kompüterləri təntənəli şəraitdə bələdiyyənin meri Davit Şerazadişvili, Gürcüstan parlamentinin deputatı Qoqi Meşveliani və resurs mərkəzinin rəhbəri İla Svanidze 40 uğurlu tələbəyə veriblər. "Mənim ilk kompüterim" proqramının məqsədi tələbələrin motivasiyasını artırmaqdır.

Mzia Qaprindaşvili "Gürcüstanın əməkdar müəllimi" adına layiq görülüb

Bolnisi bələdiyyəsinin 5 nömrəli dövlət məktəbinin riyaziyyat müəllimi Mzia Qaprindaşvili "Gürcüstanın əməkdar müəllimi" adına layiq görülüb. Mzia Qafrindaşvili 1987-ci ildən dərs deyir və bu müddət ərzində o, bir neçə uğurlu nəsil yetişdirib. O, hələ də tələbələrin inkişafına qayğı göstərir və müxtəlif təhsil layihələrində fəal iştirak edir. Bələdiyyə sədri və majoritar deputat onu əməkdar müəllim adı münasibətilə şəxsən təbrik edib, ona vəsiqə, döş nişanı və rəmzi hədiyyə verib. Bolnisi bələdiyyəsi merinin iş otağında keçirilən görüşdə tədris resurs mərkəzinin rəhbəri və adıçəkilən məktəbin direktoru iştirak edib.

სიახლეები
არემჯი
რიჩ მეტალს გრუპი

„დიდგორელის“ ფარგლებში კიდევ ერთი მოსწავლე არემჯის სტიპენდიატი გახდა

ისტორიის კონკურსში ამ დრომდე, მხოლოდ ქვემო ქართლის მასშტაბით, დაახლოებით 2000-მდე ახალგაზრდას აქვს მონაწილეობა მიღებული.

ბოლნისში ქართულ-გერმანულმა ღვინის სახლმა „დიდგორელის“ დაჯილდოების ცერემონიას უმასპინძლა. ღონისძიებაზე გამოვლინდა კონკურსის გამარჯვებული, მონაწილეებს კი სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ისტორიის კონკურსი „დიდგორელი“ სასკოლო ასაკის მოსწავლეების კონკურსია,

რომელიც 2019 წელს ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში დაიწყო და ამ დრომდე 10-მდე სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა. პროექტი დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის ხორციელდება და მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაინტერესებას საქართველოს ისტორიით და მათი ცოდნის გაღრმავებას. „დიდგორელის“ შემოდგომის სეზონი მარნეულში გაიმართა და მასში მონაწილეობას 100-ზე მეტი მოსწავლე იღებდა.

„დიდგორელს დასაწყისიდანვე ვგულშე-

მატკივრობთ და სასიხარულოა, რომ უკვე მეხუთე წელია პროექტისადმი მოსწავლეების დაინტერესება უფრო და უფრო იზრდება. როგორც პროექტის გენერალური სპონსორისთვის, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების წახალისება და დაფასება, ამიტომ კომპანია „დიდგორელის“ გამარჯვებულს 6-თვიან სტიპენდიას დაუნიშნავს და თვალს ადევნებს მარიამის განვითარების გზას“ – განაცხადა არემჯის CSR მენეჯერმა, ზურაბ დევდარიანმა.

პროექტი მრავალკომპონენტიანია და მოიცავს როგორც ტესტის დასაწერად მოსამზადებელ ნაწილს, ისე შემეცნებით აქტივობებსაც, როგორებიცაა სტუმრობა მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, ლექციებზე დასწრება, მოსწავლეთა კონფერენციების მოწყობა, მინი-ფილმების გადაღება ისტორიულ თემებზე და ა.შ. დასაწყისიდან დღემდე, პროექტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა და კონკურსში ჩართო 2000-მდე ახალგაზრდა, საქართველოს 244 სკოლიდან.

„ვაფასებთ კომპანია არემჯის ჩართულობას ჩვენი პროექტის განხორციელებაში. მათი, როგორც გენერალური სპონსორის მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ საგანმანათლებლო ინიციატივაში.

ჩვენი მხრივ, ვაგრძელებთ პროექტის განვითარებას და მიზნად ვისახავთ უფრო გავაძლიეროთ მოსწავლეთა ინტერესი ისტორიის, როგორც საგნის და სოციალური მეცნიერების მიმართ. “ - ლევან ჟვანია, პროექტ „დიდგორელის“ ავტორი.

2023 წლის შემოდგომის სეზონის „დიდგორელის“ გამარჯვებული მარნეულის #5 საჯარო სკოლის მოსწავლე, მარიამ მურადასილოვა გახდა. მარიამს კომპანიისგან 6-თვიანი სტიპენდია გადაეცა.

კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში არემჯი მიჰყვება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა. ამ კუთხით, კომპანია სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივას ახორციელებს, მათ შორის გამორჩეულია სტუდენტური პროგრამები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროექტები სკოლის მოსწავლეებისთვის.

ალექსანდრე გაბიძაშვილი

კომპანია არემჯის გეოლოგი

,,საქმე კარგად რომ გამოვიდეს, უნდა გიყვარდეს რასაც აკეთებ, უნდა იშრომო, მოინდომო და მიზანსაც მიაღწევ. ჩემი პროფესია და საქმე, რომელსაც ვემსახურები, ძალიან მიყვარს, საინტერესო და მნიშვნელოვანია, სამსახური კი, სადაც დროის დიდ ნაწილს ვატარებ, ერთი დიდი ოჯახია“. ალექსანდრე (საშა) გაბიძაშვილმა დაბა კაზრეთის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, პრაქტიკის მისაღებად, მუშაობა დაბაში სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში, ზეინკლის თანამდებობაზე დაიწყო.

1968 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, სპეციალობით- სასარგებლო ნამარხების ძებნა-ძიება, დაგეგმვა. სასწავლებლის დამთავრების მერე, მუშაობა ჯერ საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოში დაიწყო, წლების განმავლობაში სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა, ხოლო 1996 წლიდან კომპანია არემჯიში მაღაროს გეოლოგად გააგრძელა მუშაობა, იყო როგორც აფეთქების, ისე ბურღვის უბნის უფროსი, 27 წლიანი უწყვეტი სტაჟით დღესაც მხნედ და ენერგიულად ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ალექსანდრე გაბიძაშვილი არემჯიში ბურღვა- აფეთქების საპროექტო ჯგუფში გეოლოგია.

,, კომპანიამ, ბოლო წლებში, დიდი პროგრესი განიცადა. მიმდინარეობს მუდმივი გადაიარაღება, ხდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რამაც გამოიწვია სამუშაო არეალის გაფართოება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კომპანიაში დაცულია შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვის პირობები. “

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.
სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.